

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საზღვრების დელიმიტაცია-დემარკაცია

დავით სვანაძე

ელ-ფოსტა: dato.svanadze@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი,

ზუსტდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ოფიციალურად შეიქმნა 1995 წ. მოიცავს საქართველოს 6 მუნიციპალიტეტს. ფართობის მიხედვით იგი ევროპის ერთერთი უდიდესი პარკია და მოიცავს ქვეყნის ტერიტორიის 1% მეტს. აღსანიშნავია რომ პარკის შექმნისას მისი საზღვრების დადგენისათვის გამოყენებული იქნა 1:50 000 მასშტაბის ზოგადგეოგრაფიული და 1:25 000 ტყეთმოწყობის გეგმები. აღნიშნულ რუკებზე მოხდა კოორდინატების განსაზღვრა და ეს კოორდინატები გაიწერა კანონში. 2007 წლის 1 იანვრიდან, საჯარო რეესტრის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, რომლიც სავალდებულოს ხდიდა მიწის ნაკვეთების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის (მიწის კადასტრი) ელექტრონულ - გეოინფორმაციულ სისტემებში წარმოებას, პარკის მომიჯნავედ მცხოვრებ მოსახლეობას შეექმნა იურიდიული ტიპის გადაულახავი პრობლემები და ვერ ახერხებდნენ მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით სრულფასოვან სარგებლობას. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყდა მომხდარიყო აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება და ეროვნული პარკების საზღვრების დელიმიტაცია.

ბორჯომს-ხარაგაულის ეროვნული პარკი მოიცავს საკუთრივ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, ბორჯომის და ნეძვის ადკვეთილებს. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სავალდებულო გეოდეზიური აპარატურის გამოყენებით (დიფერენციალური GPS და ელექტრონული ტახიომეტრი) პარკის საზღვრის პერიმეტრზე მოხდა საზღვრის სადელიმიტაციო სამუშაოები.

პარკის მთლიანი პერიმეტრი შეადგენს 506 კმ. საზღვრის გატარებისას სავალდებულო აზომვითი სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული იქნა ორი მთავარი ძირითადი მიმართულება ა) მოხდა პარკის საზღვრის გამიჯნვა დასახლებული და ეროვნული პარკის სტატუსი შეუსაბამო ტერიტორიიდან ბ) პარკის საზღვრების გატარება მოხდა გეგორაფიული პრინციპების დაცვით (საზღვრებმა გაიარა ქედის თხემურ ნაწილზე, მდინარეზე სხვა ბუნებრივ გეგორაფიულ ობიექტებზე)

მასალების კამერალური დამუშავება მიმდინარეობდა გეოსაინფორმაციო პროგრამა ArcGIS და გრაფიკული დამუშავება Adobe Illustrator-ში. საბოლოო პროდუქტის სახით მიღებული იქნა 1:25 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული ქართულენოვანი რუკა და გეოინფორმაციული სისტემა.